ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის ამომრჩეველთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N1

შეხვედრის დრო: 2022 წლის 22 ნოემბერი. 15:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქალაქი ქუთაისი,
რუსთაველის გამზირი N27

ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გია ბასილაძე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის „უქიმერიონის" ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (100 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ლილუაშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე, საკრებულოს წევრი, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, ამირან კოპალეიშვილი, მერის წარმომადგენელი „უქიმერიონის" ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა ჭელიძე, მერის წარმომადგენელი „გამარჯვების" ადმინისტრაციულ ერთეულში მალხაზ აბაშიძე, მერის წარმომადგენელი „გუმათის" ადმინისტრაციულ ერთეულში შალვა ლომთაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლია ჩახუნაშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა გია ბასილაძემ გახსნა წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის ანგარიში, 2022 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანგარიში, 2022 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ბატონმა გია ბასილაძემ: „ მოგესალმებით, მე, როგორც საკრებულოს წევრსა და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მავალდებულებს ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით

ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ჩემი საკრებულოში საქმიანობის თაობაზე.

2021 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ქალაქ ქუთაისის საკრებულოში არის ხუთი მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებრივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, თავიანთი სფეროების შესაბამისად.

თავად ვარ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში ვახორციელებ ჩემზე დაკისრებულ ვალდებულებებს და აქტიურ მონაწილეობას ვიღებ საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 სხდომა, განხილული იქნა 27 საკითხი
- საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 20 სხდომა, განხილული იქნა 67 საკითხი

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩაატარა 18 საკრებულოს (13 რიგითი და 5 რიგგარეშე) სხდომა. საკრებულოს სხდომაზე გამოტანილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა იყო მნიშვნელოვანი და ჩემს მიერ მხარდაჭერილი.

როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი საანგარიშო პერიოდში დავესწარი უმრავლესობის ყველა სხდომას, რომელზეც განხილული იქნა:

- ინფრასტრუქტურული პროექტები
  ობიექტის ჯამური რაოდენობა: 932ობიექტი
  ჯამური ღირებულება: 61,9 მლნ ლარი

- პროექტები პრიორიტეტების მიხედვით, კერძოდ
  გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია-სულ 25 ობიექტი
  სადარბაზოების რეაბილიტაცია-456 ობიექტი
  მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია-35 ობიექტი
  სკვერების რეაბილიტაცია-18 ობიექტი
  მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია-25 ობიექტი
  მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-25 ობიექტი
  სპორტული ინფრასტრუქტურა-3 ობიექტი
  სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-4 ობიექტი

ასევე ჩატარდა სხვადასხვა სახეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების, კერძოდ მინი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

აღნიშნულ პერიოდში,როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებაში. თითოეულ

აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ახორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხვადასხვა სფეროს ღვაწმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

- სადღესასწაულო ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფა-300 ლარი
- მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა,რაოდენობა-7
- შადრევნის ექსპლოატაცია-530 ლარი
- სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია-150 ათასი ლარი
- ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა,რაოდენობა-26
- კაპიტალური სამუშოების ხარისხის უზრუნველყოფა(საზედამხედველო მომსახურება)-600 ლარი

დასრულდა ნიკეას N60 არსებულ ბინასთან დახურული საბოილერო თხრილის დემონტაჟისა და ბეტონის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 23776,96ლარი.

ასევე, მიმდინარეობს რ.თაბუკაშვილის ქ.N32-ში სკვერის მოწყობისა და ავალიანის ქ.N16-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით 175174,75 ლარი.

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შემენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების კაპიტალური შეკვეთა, რაოდენობა 185 ობიექტი
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია, რაოდენობა 20
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია

როგორც საკრებულოს წევრს, მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან. საანგარიშო პერიოდში ჩემთან მიღებაზე იმყოფებოდა 338 მოქალაქე, რომელთა თხოვნები, ძირითადად ეხება საყოფაცხოვრებო და მატერიალურ საკითხებს. ვისმენ მათ პრობლემებს და უფლებამოსილების ფარგლებში, მივმართავ შესაბამის ორგანოებს მათ გადასაჭრელად.

ჩემს ანგარიშში ყურადღება გავამახვილე, კონკრეტულად იმ საკითებზე და პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაში აქტიურად ვმონაწილეობდი და მივიღეთ დადებით შედეგი, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქისათვის.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის მიმართ. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალ წელსაც ასეთი აქტიური და ნაყოფიერი სამუშაო წელი იქნება და კიდევ ბევრ კარგ პროექტსა თუ ინიციატივას ჩავუყრით საფუძველს ჩვენი ქალაქისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის“.

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ დროის გამონახვისა და აქ მობრძანებისათვის, რათა მოისმინოთ თქვენი მაჟორიტარი დეპუტატის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შეჯამება, გარდა იმისა, რომ თითოეულ დეპუტატს აქვს პასუხისმგებლობა ყოველდღიურად უშუალო კომუნიკაციაში იყოს მოსახლეობასთან და მოისმინოს მათი საჭიროებები, ამასთანავე მთავარია ანგარიშვალდებულება თქვენთან, სწორედ თქვენ, მოსახლეობა წარმოადგენთ ჩვენი საქმიანობის დამკვეთს, ვფიქრობ დღევანდელი შეხვედრა ემსახურება იმ მნიშვნელობან თემასაც, რასაც უკუკავშირი ჰქვია, უნდა მოვისმინოთ ის საკითხები, რომელიც რეალურად გაწუხებთ, სოციალური თუ ჯანდაცვის, იგივე საარსებო გარემოს გაუმჯობესების კუთხით და შესაბამისად მივიღოთ ინფორმაცია რა საჭიროების ირგვლივ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება წარმომადგენლობით რგოლში იმისათვის, რომ თქვენი ხმა იყოს აქტიური და ეს ხმა შემდგომში მივიტანოთ აღმასრულებელთან. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ამირანს, უშუალო ჩართულობისათვის, იგი საკმაოდ მნიშვნელოვან დარგობრივ კომისიას ხელმძღვანელობს, აქტიურია როგორც მაჟორიტარულ, ასევე კომისიურ ფორმატში, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბაქარ მახარაძეს, კომისია, რომალსაც ის ხელმძღვანელობს მთავარი დოკუმენტის ირგვლივ მსჯელობს, რომელშიც ასევე თქვენი საჭიროებები აისახება, ბატონი ბაქარი აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში და მადლობას ვუხდი ასევე პარტიული კუთხითაც, რაც შეეხება ბატონ გია ბასილაძეს, საკრებულოში მოსვლის დღიდან მისი კარი ღიაა მოქალაქეებისათვის, ნებისმიერ საკიხთან დაკავშირებით. მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაცია არის ნამდვილად ის პრიორიტეტი, რომელიც საკრებულოს გააჩნია და ამ პრიორიტეტის ნაწილში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ამავდროულად პარტიის თავმჯდომარე, მისი მოღვაწეობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მე ნამდვილად სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი გიას მუდმივი კომუნიკაცია მოსახლეობასთან ყოველთვის კონკრეტულ შედეგამდე მიდის. მადლობა ბატონ პაატა ლილუაშვილს, რომელიც აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურულ ნაწილში, ეს იქნება ქალაქში რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტის თუ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაშიც მას მრავალწლიანი გამოცდილება ეხმარება, შესაბამისად ზრუნავს იმისათვის, რომ ქალაქში შეიქმნას ახალი სივრცეები, რომლებიც მიმზიდველი იქნება, როგორც ტურისტებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. ქალაქში გვაქვს ძალიან ბევრი გამოწვევა, რომლის მოგვარებაც ურთიერთკომუნიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი."

მოქალაქე **მაყვალა ლოსაბერიძე** : „ჯავახიშვილის N20-ის სადარბაზო თუ არის წელს გათვალისწინებული , რომ გაკეთდეს?"

ბატონი **გია ბასილაძე**: „რაც შეეხება, ჯავახიშვილის N20-ს აღნიშნულთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ რომ მართალია, არ მოხვდა წელს ჩამონათვალში, მაგრამ მე გაძლევთ პირობას , რომ ჯავახიშვილის N20 სადარბაზო ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში თანადაფინანსდებით, გაკეთდება".

მოქალაქე **ლელა ნაცვლიშვილი:** „მაინტერესებს, რა ბედი ეწევა ე.წ საგიჟის შენობას და მიმდებარე ტერიტორიას?"

ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „აღნიშნული შენობა აუქციონზე ორჯერ იყო გამოსული და ტენდერი ორჯერვე ჩავარდა, შეფასებულია 1040 000 ლარად, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ვერავინ შეიძინა."

ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ეს შენობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და ვგეგმავთ მის პრივატიზებას, რადგან შემდეგ რა მიმართულებითაც ენდომება მეპატრონეს

განავითაროს და მოაწესრიგოს ის ტერიტორია, თუმცა პრობლემა აქ ტენდერის ჩავარდნაა, ჯერჯერობით მსურველი არ გამოჩნდა."

ბატონი **გია ბასილაძე :** „მადლობა მინდა მოგახსენოთ მობრძანებისათვის, მართალია, აქ ძირითადად უქიმეორიონის მოსახლეობა ბრძანდებით, მაგრამ ჩვენ გარდა უქიმეორიონისა მთელი ქალაქის მასშტაბით ვზრუნავთ და ვაკეთებთ საქმეს.

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გია ბასილაძის ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გია ბასილაძე